

ყურანის ეგზეგეტიკა
მოკლე შესავალი

A Brief Introduction to
**QUR'ANIC
EXEGESIS**



Ali Suleiman Ali

იასი-ს წიგნების სერია

ქარანის ებზებეტიკა

მოკლე შესავალი

აღი სულეიმან აღი
შემოკლებულია ვანდა კრაუსის მიერ



International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2022

ქურანის ეპუბლიკა

მოკლე შესავალი (Georgian)

ალი სულეიმან ალი

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.

1444ჰ/2022

Paperback ISBN: 978-9941-33-282-1

A Brief Introduction to Qur'anic Exegesis (Georgian)

Ali Suleiman Ali

IIIT Books-In Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1440AH/2018CE

Paperback ISBN: 978-1-56564-985-9

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: შ.პ.ს „ცნობარი 151“

თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე, თამაზ მგელაძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვასლა A-508

ikiacademy.org

მომზადდა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამ-
შრომლობით.

საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდნარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „ანივარსალი“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ტელ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი პუბლიკაციების ამ-სახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც, მკითხველი საზოგადოებისათვის, სრული ტექსტის ძირითადი შინა-არსის მარტივად გააზრების მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ფორმატი მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, დროის მოკლე მონაკვეთში, დიდი პუბლიკაციების დეტალურ, გამარტივებულ მიმო-ხილვას გაეცნოს. იმედი გვაქვს, ჩვენი ნაშრომი მკით-ხველში ორიგინალის, ტექსტის სრული ვერსიის წაკით-ხვის სურვილსა და ინტერესს აღძრავს.

ალი სულეიმან ალის „**ყურანის ეგზეგეტიკის¹ მოკლე შესავალი**“ მიზნად ისახავს, გააცნოს „თაფსირის“ (ყურა-ნის ეგზეგეტიკის) მეცნიერებების შემსწავლელთ ყურა-ნის ინტერპრეტირების ისტორიული განვითარება მუპა-მად შუამავლის (ს.ა.ს)² დროიდან დღემდე. ნაშრომში გა-მოკვეთილია შუამავლის „თაფსირის“ ბუნება, მახასია-თებლები და მეთოდოლოგია. იგი ასევე განიხილავს „სა-

¹. ეგზეგეტიკა — ქ. ბერძნ. განმარტება, გადმოცემა. ტექსტში ეგზეგეტიკა და განმარტება მონაცემებითაა გამოყენებული.

². ﷺ ﴿بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ 'اَللَّهُمَّ اكْبِرْ' وَ 'سَبَّاكَبِرْ'﴾ ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როდესაც წმინდა მუპამად შუამავლის სახელი „მუჰამმადი“ იქნება ნახსენები.

ჰაბეების³ „თაფსირს“, ისე როგორც „თაბი‘უნის“⁴, ანუ კომპანიონების მომდევნო თაობის „თაფსირს“, მათი თაფსირის სტატუსს, მახასიათებლებსა და მეთოდოლოგის ჩათვლით.

„თაფსირის“ რამდენიმე განსხვავებული ტიპის კრებული, ასევე მათი ავტორები, ჩართული არიან ამ შემოკლებულ ნაშრომში. წიგნი განიხილავს „თაფსირის“ ორ ძირითად ტიპს: „ათ-თაფსირ ბი ალ-მას’ურ“⁵ და „ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ء“⁶. წიგნში ასევე გაშუქებულია „თაფსირის“ ახალი ტენდენციები თანამედროვე სამყაროში, რაც გამოკვეთს ზოგიერთ განსხვავებას კლასიკურ და თანამედროვე ნაშრომებს შორის. „ყურანის ეგზეგეტიკის მოკლე შესავლის“ მთავარი მიზანია, მიაწოდოს მკითხველებს საბაზისო ინფორმაცია „თაფსირის“ ევოლუციაზე, ყურანის ყველაზე გამორჩეულ ზოგიერთ განმმარტებელზე (მუფასირუნ) და მათი ნაშრომების შესახებ. იმედია, ეს მოკლე შესავალი გამოიწვევს „თაფსირის“ შემსწავლელთა დიდ ინტერესს და ხელს შე-

³. بـاـنـةـا : صـاحـبـةـا . „سـاـقاـكـاـ“ წმინდა მუჰამმად შუამავლის მეგობრები, თანამოაზრეები, თანამედროლები, კომპანიონები, ვინც შუამავალს ნდობა გამოუცხადა, ირწმუნა ისლამი და სწავლობდა მისგან. ტექსტში გამოყენებულია ქართულ ისლამურ ტერმინოლოგიაში უკვე დამკვიდრებული სიტყვა „سـاـقاـكـاـ“ მრავლობითში „سـاـقاـكـეـბـიـ“ ასევე „თანამოაზრეები“, „კـوـمـპـაـნـიـოـნـეـბـიـ“. ტექსტში სამივე ტერმინი გამოიყენება ურთიერთმონაცვლეობით.

⁴. تـابـعـونـ : „تـاـبـىـ‘ـعـنـ“، ქართულად – “مـهـمـقـوـدـرـرـرـيـهـبـიـ“ მუსლიმი მორწმუნები, ვისაც არ უნახიათ წმინდა მუჰამმად შუამავლი, ანუ არ უცხოვრიათ მის ეპოქაში და ნახეს საპატეები ანუ ცხოვრობდნენ მათ ეპოქაში. ტექსტში გამოყენებულია „თაბი‘უნი“ ან „მემკვიდრეები“,

⁵. التـفـسـيرـ بـالـمـائـورـ . (ათ-თაფსირ ბი-ლ-მას’ურ), ტექსტში გამოყენებულია „ათ-თაფსირ ბი ალ-მას’ურ“, განმარტება მოცემულია ტექსტში.

⁶. التـفـسـيرـ بـالـأـيـ . (ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ء) ტექსტში გამოყენებულია „ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ء“, განმარტება მოცემულია ტექსტში.

უნიკობს მათ განახორციელონ კვლევა მოცემულ საკითხებზე.

აღი სულეიმან აღის ორიგინალის შემოკლებული ვერსია
ყურანის ეგზეგეტიკის მოკლე შესავალი

ISBN hbk: 978-1-56564-699-5

ISBN pbk: 978-1-56564-688-9

2017

თავი პირველი ისტორიული მიმოხილვა

თაფსირის მეცნიერება მიზნად ისახავს განმარტოს ალლაჰის სიტყვის მნიშვნელობები, როგორც ის განცხადებულია მის წმინდა წიგნში, ყურანში, მისი შუამავლის, მუჰამადისთვის (ს.ა.ს) და, როგორც წესი, წარმოდგენილია, როგორც ყურანის ‘ინტერპრეტაცია’ ანუ ეგზეგეტიკა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ისლამური მეცნიერებე

ბიდან. არაბული ფუძე „-(س-ف-ر)-ف-س-ر“ ნიშნავს გამოაშკარავებას, ფარდის ახდას. ტრადიციონალისტი ან კლასიკოსი მუსლიმი სწავლულები აცხადებენ, რომ სახელმწია „თაფსირი“ მოდის სიტყვა „ფა-სა-რა“-სგან და ნიშნავს ახსნას. „თაფსირი“, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „განმარტებას“. ასევე გვაქვს ყურანის განმარტებისათვის კიდევ ერთი სიტყვა „თა'ვილ“,⁷ რომელიც ნიშნავს „ინტერპრეტაციას“. ჩვეულებრივ ამ ორ ტერმინს სწავლულები იყენებენ როგორც სინონიმებს ან ურთიერთჩანაცვლებლებს ყურანის ინტერპრეტაციისა ან ეგზეგეტიკისთვის.

⁷. „თა'ვილ“(არაბულად ﻭاﻟـ ﻭـ) [თა'ვილ, “საწყისთან დაბრუნება”] - ყურანისა ან სუნას რაციონალისტური, ანდა სიმბოლურ-ალეგორიული ახსნის მეთოდი, რომელიც შეიქმნა ტრადიციაზე დამყარებული ყურანის ისტორიულ-ფილოლოგიური და საკანონთმცოდნეო განმარტების საპირისპიროდ. ვინც პრეტენზიას აცხადებდა ყურანის “საიდუმლო”, “ფარული” აზრის ცოდნაზე, თავილს მიიჩნევდა ყურანის ტექსტის ჭეშმარიტი აზრის შეცნობის ერთ-ერთ საშუალებად. ტექსტში გამოყენებულია თა'ვილ- დახრილი შრიფტით.

განსხვავება „თაფსირსა“ და „თავ’ ილს“ შორის

მუჭამმად იბნ მუჭამმად ალ-მათურიდის (გარდ. 333 ჰიჯრით) მიხედვით „თაფსირი“ არის ტექსტის საბოლოო მნიშვნელობის განმარტება, რომელიც ხსნის იმას, რაც ღმერთმა განსაზღვრა მხოლოდ ტექსტით, ხოლო „თა’ კილი“ გამოიყენება ყველაზე ზუსტი ინტერპრეტაციის მისაღწევად, როდესაც ტექსტს ერთზე მეტი შესაძლო მნიშვნელობა აქვს. „თავ’ ილი“ ხშირად იხმარება მნიშვნელობებისა და წინადადებების განსამარტად და ყველაზე ხშირად გამოიყენება თეოლოგიურ ტექსტებში ან წიგნებში, მაშინ როდესაც „თაფსირი“ იხმარება თეოლოგიურ ტექსტებსა და სხვა სფეროებში (როგორიცაა მეცნიერება ყურანის შესახებ და ისლამური იურისპრუდენცია).⁸

ტერმინი „თაფსირი“, ჩემი პირადი დასკვნის მიხედვით, როდესაც იხმარება ყურანის ახსნის მნიშვნელობით, განვითარდა პირველი ისლამური საუკუნის მეორე ნახევარში ან ბოლოს. შესაძლოა ‘აბდ ალლაჰ’ იბნ ‘უმარი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც გამოიყენა სიტყვა „თაფსირი“ ყურანის ინტერპრეტაციის მნიშვნელობით, როდესაც მან თქვა: „მა သუ’ ჯიბუნი ჯარა’ თ იბნ ‘აბბას ‘ალ-თაფსირ კურ’ ან ფალან კად ‘ალიმთუ ანნაჰუ ‘უთიდა ილმ“ („მე არ მომწონს ან არ ვარ მოხიბლული იბნ ‘აბბასის თაფსირით (განმარტებით) ყურანზე, თუმცა ახლა ვიცი, რომ მას მიეცა ცოდნა“).⁹

⁸. Ibid., p. 381.

⁹. Ibid., p. 413

ამასთანავე, ჩვენ ვერ მოვიძიებთ ამ ტერმინის ხსენებას ყურანში და ჰადისებში უშუალოდ ყურანისეული განმარტების მნიშვნელობით. მეორე მხრივ, ყურანში 25-ე სურის 33-ე აიაში გამოყენებულია სიტყვა „თაფსირი“, „განმარტების“ მნიშვნელობით. როგორც მუჰამდ (ს.ა.ს) შუამავალმა, ისე მისმა საპაბებმა (თანამოაზრებმა) მოახდინეს ყურანის ზოგიერთი აიას ალეგორიული ინტერპრეტირება. ისინი ამ ინტერპრეტაციებს უწოდებენ „თაფსირს“ და არა „თა'ვილს“. ჩემი რწმენით, ეს იმ მიზეზითაა, რომ „თაფსირის“ ბევრმა სწავლულმა, მათმა უმრავლესობამ თუ არა, ვერ დაინახა განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის.

მუჰამად შუამავალი და „თაფსირი“

მუჰამად შუამავალი იყო ყურანის პირველი ეგზეგეტიკოსი თუ ინტერპრეტატორი (მუფასსირ), მაგრამ მას მთელი ყურანი არ აუხსნია სიტყვა-სიტყვით, რადგან ბევრი აია მისი დროის ხალხისათვის ისედაც გასაგები იყო, ვინაიდან ისინი არაბები იყვნენ და ესმოდათ საკუთარი ენა. ზოგადად, ყურანისეული საღვთო სიტყვის მისეული ახსნა-განმარტებები საჭირო გახდა სამ შემთხვევაში: როცა ადამიანებს არაბული ენის ჩვეულებრივი გაგებით არ ესმოდათ კონკრეტული პასაუი; როდესაც აიას პირდაპირი მნიშვნელობა, მუსლიმ სწავლულთა თანახმად, არ იყო იდენტური ღმერთის მიერ ნაგულისხმევი აზრისა; და როდესაც კომპანიონი უშუალოდ შუამავალს სთხოვდა ზოგიერთი აიას განმარტებას.

ერთი მაგალითია, რომ როცა შუამავალს ჰქითხეს

„ბუშრას“ (სასიხარულო ამბის) მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ნახსენებია ყურანის მე-10 სურის 63-ე და 64-ე აიაში, შუამავალმა ბრძანა, რომ „აია ეფუძნება კარგ სიზმარს, რომელსაც ხედავს ადამიანი, ან რომელიც სიზმრად ნანახია მისი სახელით“.¹⁰ მეორე მაგალითი ეხება ყურანის მიწერილობას მარხვის შეწყვეტის დროის შესახებ რამადანის თვეში. ამ შემთხვევაში შუამავალმა ახსნა, რომ ყურანის აიებში ნახსენები თეთრი და შავი ძაფი უკავშირდება ადრეულ გარიშრაჟს ჰორიზონტზე, რომელიც ქმნის კონტრასტს ცის წყვდიადთან.¹¹

„თაფსირი“ მუჰამად შუამავლის გარდაცვალების შემდეგ

მუსლიმები, რომლებიც უშუალოდ შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდნენ, აღიარებდნენ ზოგიერთი თანამოაზრის უნარებსა და შესაძლებლობებს ყურანის ცოდნის თვალსაზრისით. შუამავალმა გარდაცვალებამდე გამოაცხადა მათი ამაღლებული სტატუსი ყურანთან მიმართებით სამი გზით: ჰირველი - მან საპაპები გაგზავნა სხვა ქალაქებში, რათა ესწავლებინათ ყურანი და ისლამი; მეორე - შუამავალი აქებდა ზოგიერთ საპაპეს; მესამე - ის ზოგიერთ საპაპეს სთხოვდა მისი თანდასწრებით გაეცათ ფათვები (სამართლებრივი მო-

^{10.} Ahmad ibn Hanbal, Al-Fath al-Rabbaani li Tartib Musnad al-Imam Ahmad ibnhanbal al-Shaybani, ed., Abd al-Rahman al-Banna, (Cairo: Dar al-Shihib), vol. 18, pp. 175-176.

^{11.} Abu Jafar Muhammad ibn Jarir al-Tabari, Jamiu al-Bayan ‘an Ta’wil Ay al-Qur’ān, eds., Mahmud Muhammad Shakir and Ahmed Muhammad Shakir,(Cairo: Dar al-Magarif, n.d), vol. 1, p. 204.

საზრებები)¹². შუამავლის გარდაცვალების შემდეგ წარმოშვა ყურანის ინტერპრეტაციისა და დეკლამაციის (კირა'ა-ة-قراءة) ოთხი ახალი სკოლა, რომლებიც სახელდებული გახდნენ წარმოშობის ადგილის მიხედვით: მექის, მედინის, ქუფის (დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე) და აშ-შამის (დღევანდელი პალესტინა, სირია და ლიბანი).

„თაფსირი“ „თაბი‘უნის“ ეპოქის შემდეგ

ჰიჯრით მეორე საუკუნის ბოლოსთვის, შუამავლის თანამოაზრეთა მოსწავლეებიც, რომელთაც „თპბი‘უნი“ ეწოდებათ, ასევე გარდაცვლილები იყვნენ. ამ ჰერიოდის არც ერთ ინტერპრეტატორს არ შეუქმნია ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ეძღვნება ყურანის ინტერპრეტაციას. ამტკიცებენ, რომ ყურანის სრული „თაფსირი“ დაწერა მუჯაჰიდება. ჰიჯრით მეორე საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე სხვადასხვა სწავლულებმა დაიწყეს ნაშრომების შედგენა ყურანის შესახებ მათი სპეციალობებისა და ინტერესების შესაბამისად. გრამატიკოსების, ლინგვისტებისა და ტრადიციონალისტების მიერ გამოყენებული მიდგომების და მეთოდოლოგიების სწრაფი განვითარების ხანა გაგრძელდა ჰიჯრით მესამე საუკუნის ბოლოსა და მეოთხე საუკუნის დასაწყისამდე. ამგვარად, „თაფსირის“ ლიტერატურა გამოეყო ჰადისის ლიტერატურის ძირითად კორპუსს. ორივე ჩამოყალიბდა ერ-

¹². Ibn Sa‘d, Muhammad ibn Sa‘d ibn Manī‘ al-Zuhrī, Al-Tabaqat al-Kubrā (Beirut: Dar Shadir, 1957), vol. 2, pp. 98-99.

თმანეთისაგან დამოუკიდებელი მეცნიერებად.
„თაფსირი“ გახდა ერთ-ერთი ამგვარი სპეციალობა.

ჰადისის ძირითადი კორპუსიდან „თაფსირის“ ლიტერატურის გამოყოფის შემდეგ, თითოეული მათგანი გახდა დამოუკიდებელი მეცნიერება საკუთარი ლიტერატურითა და საკითხებით. მაგალითად, ჰადისის ლიტერატურა დაკავშირებულია მხოლოდ შუამავლის ნამოქმედარის და გამონათქვამების გადმოცემასთან. „თაფსირის“ ლიტერატურა ეხება შუამავლის, ასევე საჰაბებსა და თაბი'უნებს მიერ ყურანის ახსნა-განმარტების გადმოცემას, ლინგვისტურ, რიტორიკულ, იურიდიულ და თეოლოგიურ მოსაზრებებთან ერთად. ეს ცნობები და მოსაზრებები იყო ინტენსიური შესწავლის საგანი ჰადისსა და „თაფსირს“ განცალკევების შემდეგ. „თაფსირის“ ლიტერატურა საბოლოოდ იყოფა ორ უმთავრეს სახეობად, რომლებიც ცნობილია, როგორც „ათ-თაფსირ ბი-მა'სურ“, (ლია გადმოცემითი, ცნობილი განმარტებები) - მას ასევე მოიხსენიებენ როგორც „ათ-თაფსირ არ-რივადა“ (გადმოცემული განმარტებები) და „ათ-თაფსირ ბი-რ-რა'ა, (ინტელექტუალური მსჯელობა, აზროვნებით განმარტებები), რომელსაც ასევე უნდებენ ათ-თაფსირ ად-დირჩა (ცოდნით განმარტებები)

თავი მეორე
**„თაფსირი“ ჰიჯრით მესამე და
 მეოთხე საუკუნეებში**

„თაფსირის“ წერა ჰიჯრით მესამე და მეოთხე საუკუნეებში იწყება. ამავე პერიოდში „თაფსირის“ გადმოცემის სრული ჯაჭვი (ისნდდ) პოპულარული გახდა, თანდათანობით მიიპყრო თეოლოგების და ლექსიკოგრაფების ყურადღება, როგორც ყურანის ეგზეგეტიკის ერთ-ერთ ასპექტის სპეციალიზაციამ. ამდენად, მათ დაიწყეს „თაფსირის“ კომენტარების შექმნა, რომლებშიც სხვა-დასხვა მიდგომები დომინირებდა. ატ-ტაბარის „თაფსირი“, - „ჰამი‘ ალ-ბაან ‘ან თა’ვილ ალ-კურ’ანი“, ზოგადად ალიარებულია, როგორც თაფსირის ყველაზე ყოვლისმომცველი ნაშრომი.

ატ-ტაბარის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები

ჰიჯრით მეოთხე საუკუნის შემდეგ ყურანის კომენტირების სფეროში სამი უმთავრესი ცვლილება განხორციელდა. ას-სუფეტის განმარტებებში, ესენი იყო: ა) „იხ-თისარ ალ-ასანიდ“, რაც გულისხმობს გადმომცემთა ჯაჭვების შემოკლებას (რომელსაც თან ახლდა დაუდასტურებელი მტკიცებულებები), ბ) სპეციალიზაციის ეპოქა, და გ) „თაფსირ ალ-ბიდ‘ა“ (ერეტიკული ინტერპრეტაცია), რაც არის არაორთოდოქსული ეგზეგეტიკის წარ-

მოშობა.¹³ ასევე არსებობს „თაფსირი“ „ნაზმ ად-დურარ ფი თანპსუბ ალ-ჩათ ვა ალ-სუვარ,“ რომელიც ეხება, ერთი მხრივ, ყურანის სურებს შორის ურთიერთმიმართებებს, მეორე მხრივ კი, თითოეულ სურაში არსებულ აიებს შორის ურთიერთკავშირს.

ჰადისის მეცნიერებაში გამომცემთა ჯაჭვის შემოკლება ცნობილია, როგორც „იხთისარ ალ-ასანიდ“. ნაცვლად იმისა, რომ ზემოხსენებულ გადმოცემთა ჯაჭვში (ისნად) ვიმეოროთ ყოველი მოძღვრისა და მოხსენიებულის სახელი, მუსლიმმა სწავლულებმა დაიწყეს სრული „ისნადის“ გამოტოვება. ეს ეწინაამღდევებოდა ისლამურ მეცნიერების მეთოდოლოგიას, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა ინფორმაციის წყაროების გადამოწმება, რამდენადაც ინფორმაცია მარტივად მიღებოდა არასანდო ან საერთოდ არარსებული წყაროებიდან. აქედან გამომდინარე, ბევრი ტექსტი დაწერილი იყო იმდენად მწირი განსწავლულობითა და დაბალი სტანდარტებით, რომ მათი ავტორები არ ანსხვავებდნენ სანდო და არასანდო მონაცემებს. თუმცა, ალ-სუფრტი და სხვები მეხუთე საუკუნესა და შემდგომ პერიოდს მიიჩნევენ თაფსირის სპეციალიზაციის ეპოქად, რადგან ექსპერტები ყურანის ინტერპრეტაციას ახორციელებდნენ მხოლოდ თავისი სპეციალიზაციის პერსპექტივიდან გრამატიკული, იურიდიული და თეოლოგიური ანალიზისადმი დიდი ყურადღების გამახვილებით.

მესამე ხალიფის, ‘უსმან იბნ ‘აფფანის მკვლელობი-

¹³. Al-Suyuti Al-Itqan, vol. 2, p. 419. See also, Muhammad Abd al-Adhim al-Zarnani, Manahil al-‘irfan fi ‘ulum al-Qur’an, vol. 2, pp. 32-3.

სა და მუსლიმების რელიგიურ-პოლიტიკური დაპირისპი-რების შემდეგ, ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ჯგუფი: ალიდები ('ალი იბნ აბდ ტალიბის მომხრეები), უმავანე-ბი (მუ'წვიდა იბნ აბდ სუფიანის მხარდამჭერები), და ხა-რიჯიტები. შედეგი ასევე გახდა სუნიტებისა და შიიტე-ბის გაყოფა. სამივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა იმაში, რომ ისინი იყვნენ ცრუ მუსლიმები. ეს გადაუწ-ყვეტელი პრობლემა აისახა ზოგადად ჩართული მხარეე-ბის ტექსტებში და კონკრეტულად „თაფსირის“ ნაშრო-მებში. ატ-ტაბარის „ჯამი‘ ალ-ბადნი“ არის ერთ-ერთი „თაფსირი“, რომელიც წარმოადგენს სუნიტების თვალ-საზრისს. შიიტების „თაფსირი“ ვითარდება სუნიტურის პარალელურად. თუმცა, მათ შორის არის ორი ძირითადი განსხვავება. პირველი, ზოგიერთ შიიტს სჯერა, რომ ყუ-რანი პირველ რიგში საუბრობს მათი იმამის, 'ალი იბნ აბდ ტალიბისა და მისი თერთმეტი შთამომავლის შესა-ხებ. მეორე, შიიტებს სჯერათ და მიაჩნიათ თორმეტი იმამი ყურანის განმარტების უფლების მქონე ერთადერთ ლეგიტიმურ ავტორიტეტებს წარმოადგენენ შუამავლის შემდეგ.

ტრადიციონალისტებმა მუ'თაზილიტების „თაფსი-რი“, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ბიდ‘ად“¹⁴, დაუშვებელ სიახლედ ცნეს რადგან მათ სჯეროდათ, რომ მუ'თაზი-ლიტებმა დაამახინჯეს ყურანის ზოგიერთი სიტყვა, რა-

¹⁴. ბიდ‘ა [, მრ.რ. ბიდა‘, ზმნიდან ბადა‘, „სიახლის შემოტანა“] - სიახლე, ახალი წესი, რომელსაც არ მოეპოვება პრეცედენტი მოციქულ მუჰამადის ფროს, საპირისპირო სუნას. ბიდას სხვადასხვა დოგმატური სკოლის წარ-მომადგენლები სხვადასხვაგვარად განიხილავდნენ, თვლიდნენ „დაუშვებ-ლად“, „შეცდომად“, ანდა ყურანისა და სუნის ავტორიტეტით ნაკურთხ „მართლწმენად“.

თა მხარი დაეჭირათ, ან მიესადაგებინათ მათი საკუთარი პერსპექტივებისთვის. მუ'თაზილიტები თვლიდნენ, რომ ტრადიციონალისტებმა არასწორად გაიგეს ან მცდარად აღიქვეს მათი ხედვები. სუფიური „თაფსირი“ არის მისტიკური თავისი ბუნებით და ფილოსოფიურ აზროვნების ძლიერ ზეგავლენას განიცდის. სუფიებს სჯერათ, რომ ყურანს აქვს ორი მნიშვნელობა: აშკარა მნიშვნელობა (ზაჟირ) და შიდა, დაფარული (ბაჟინ). დაბოლოს, ინტერპრეტაციის მეთოდი, სახელად „ათ-თაფსირ ალ-იშარი“ (მითითებით ან ალეგორიით ინტერპრეტაცია), გადის ყურანის პირდაპირი მნიშვნელობების მიღმა. ის მიუთითებს მნიშვნელობებზე, რომლებსაც ვერავინ განჭვრეტს, ამტკიცებენ მისი მიმდევრები, მათ გარდა, ვისი გულებიც ღმერთმა გახსნა. მისი მომხრეები აფუძნებენ საკუთარ ინტერპრეტაციას შუამავლის კომპანიონების ზოგიერთ „თაფსირზე“.

ორთოდოქსული რეაქცია ინტერპრეტაციის ვარიაციებსა და „არ-რა'ხის“ მიმართ

„თაფსირის“ ვარიაციების წარმოქმნა მკაცრად გააკრიტიკეს ისეთმა ტრადიციონალისტებმა, როგორებიც არიან იბნ თამაზია, აზ-ზაჟაბი, იბნ ქასირი, ალ-სუფრტი და სხვები. მათ სწამდათ, რომ ასეთი ინტერპრეტაციები, ეგრეთ წოდებული მუბთადი'ას (არაისლამური, არაორთოდოქსული, დასაძრახი ინოვაციური პრაქტიკების მიმდევრები) მიერ, არაფერია, გარდა შუამავლის, მისი თანამოაზრებისა და მემკვიდრეების ინტერპრეტაციის დამახინჯებისა. ამგვარად, მათ დაიწყეს უკომპრომისო თავდასხმები თაფსირის ვარიაციებზე. დამატებით, ტრადიციონალისტები ამტკიცებდნენ, რომ მუსლიმებმა უნ-

და წერონ და იკითხონ მხოლოდ ტრადიციული „თაფსირის“ ნაშრომები და აფრთხილებენ „არ-რა’ხს“ (ინტელექტუალური განსჯის) წინააღმდეგ, რომელიც მოკლებულია ძირეული არაბულის გამოყენებასა და საფუძველს. ისინი იყენებდნენ ოთხ განსხვავებულ წყაროს თვითით შეხედულებების დასაბუთებისთვის: ყურანი, ჰადისი, კომპანიონების და მემკვიდრეების გადმოცემები.

„თაფსირისადმი“ ტრადიციული მიდგომის ზოგიერთი მომხრე აცხადებს, რომ ყურანის გაგება შეუძლებელია ჰადისის ანუ შუამავლის განმარტების გარეშე. მათი თვალთახედვიდან, ექსკლუზიურად და რაციონალური მიდგომის ნებისმიერი სახით გამოყენების წინააღმდეგ ტრადიციული ინტერპრეტაციის მოწოდება, არ არის გამართლებული ინტელექტუალური თვალსაზრისით. ზოგიერთი იურისტი, გრამატიკოსი და თეოლოგი, მათ შორის აბუ ჰამიდ ალ-დაბლი, იბნ ‘ატიხა, ალ-კურტუბი და აბუ ჰამადი ამყარებენ თავიანთ მოსაზრებებს, იმავე წყაროების გამოყენებით, რომლებსაც მათი ოპონენტები ეყრდნობიან. ტრადიციონალისტების მიერ ყურანის მე-16 სურის 44-ე აიაზე დაყრდნობის საპასუხოდ, იბნ ‘ატიხა ამტკიცებდა: მიუხედავად იმისა, რომ შუამავლისთვის დაკისრებული იყო ყურანის ახსნის პასუხისმგებლობა, მისი ინტერპრეტაცია მიწოდებული იყო იმ დროის მოთხოვნილებების შესაბამისად და იმ კონკრეტული პერიოდის ხალხისთვის. მისი სიკვდილის შემდეგ, დროისა და სივრცის ფაქტორს შესაძლოა მოეთხოვა შემდგომი ინტელექტუალური ძალისხმევა, რათა განემარტათ შუამავლის ინტერპრეტაციის განზოგადოებები.

ეს კი, არგუმენტის გათვალისწინებით, მოითხოვს სქოლასტიკური განსჯის (რა' ḥს) საჭიროებას და დასაშვებია, თუ მასთან ერთად გამოიყენება „თაფსირის“ ძირითადი წესები. „თაფსირში“, „რა' ḥს“ მეთოდის გამოყენების მომხრეები ასევე იყენებდნენ ყურანს თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად. რა' ḥს მომხრეები ასევე ციტირებენ ცნობილ ჰადისს, რომელშიც შუამავალი ნათლად მოუწოდებს თავის მიმდევრებს, რომ ჩაერთონ იჯთიპადში ანუ საკითხის მთავარ პრინციპებზე დაყრდნობით რაციონალური აზროვნების შედეგად გადაწყვეტილების მიღებაში: ”ვინც ახორციელებს იჯთიპადს და ის მართალია, მიიღებს ორ ჯილდოს. თუმცა, თუ ის არასწორია, მიიღებს მხოლოდ ერთ ჯილდოს“.¹⁵

როგორც ამ არგუმენტების შედეგი, ტრადიციონალისტებსა და თეოლოგიურ-იურისტებს შორის კლასიკური „თაფსირი“ იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: „ათ-თაფსირ ბი-ლ-მა' სურ“ და ათ-თაფსირ ბი-რ-რა'“. (თაფსირი ლია-მიმღეობა, და ინტელექტუალური მსჯელობა, აზროვნება). სიტყვა „ალ-მა' სურ“ არის პასიური მიმღეობა, რომლის ფუძეა ზმნა „ასარა“, რაც ნიშნავს „კვლევას“ ან „მონიშვნას“. ზმნა „ასარა“ აგრეთვე ნიშნავს გადაცემას, ცნობას, გასწვრივ გავლას და ასე შემდეგ. ამგვარად, „მა' სური“ ნიშნავს იმას, რაც გადაეცემა, შეეტყობინება. „ათ-თაფსირ ბი-ლ-მა' სურ“ ზოგადად გაგებულია, როგორც ყურანის ინტერპრეტაცია, რომელიც გადმოგვცეს შუამავალმა, თანამოაზრებმა და

¹⁵. Ibn Taymiyyah, Taqiy al-Din Ahmad ibn 'Abd al-Halim, Muqaddimah fi Usul al-Tafsir, ed., Adnan Zorzo, (Beirut: Dar al-Qur'an al-Karim, 1979/1399), p. 52.

მათმა მემკვიდრეებმა. სიტყვა „რა’“ არის სახელზმნა, რომელიც ნიშნავს მოსაზრებას, შეხედულებას, რწმენას და ჩვეულებრივ მოიცავს ანალოგიას და ინტელექტუალურ ძალისხმევას. ტექნიკური თვალსაზრისით, ის ეხება დამოუკიდებელ აზრს, რომელიც გამოიყენება ყურანის ინტერპრეტაციის შემუშავებისთვის და გულისხმობს ღვთის სიტყვის შეცნობას გონებით. ეს, როგორც წესი, ემყარება არაბულ ენის საფუძვლიან ცოდნას და „თაფსირის“ ურთიერთშეთანხმებული პრინციპების დანერგვას, რომელიც დაყოფილია „არ-რა’ ალ-მაჰმუდ ან ალ-მამდუჭ“ - სანაქებოდ და „არ-რა’ ალ-მაზმუმ“ - ნაკლის მქონედ.

თავი მესამე „თაფსირი“ მესამე და მეოთხე საუკუნეებში (ჰიჯრით) ცნებები და დეფინიციები

სინამდვილეში, რაც აშკარად იკვეთება, გაყოფა არც თუ ისე მკაფიოა და „რაის“ მეთოდი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხდება „მა'სურის“ ტრადიციაზე დაფუძნებულ ეგზიგეტიკასთან ერთად. სიტყვა „მა'სური“ არის პასიური მიმღეობა, რომელიც მომდინარეობს სახელმწიფნიდან. არაბული ლექსიკონის თანახმად, „ასარას“ აქვს სხვადასხვა მნიშვნელობები, „მოძიება“, „მონიშვნა“, „მოხსენიება“ და „გადაცემა“. გარდა ამისა, არაბულ ენაზე, ტერმინი „ჰადისი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ახალს“, „ძეველთან“ დაპირისპირებულს, და ის აღნიშნავს გადმოცემას, ამბავს, კომუნიკაციას, საუბარს, ლაპარაკსა და ა.შ. - ანუ ახალ ამბებს. ყურანი ამ სიტყვას ჩვეულებრივ იყენებს თხრობის, კომუნიკაციისა და საუბრის ლინგვისტური მნიშვნელობის აღსანიშნად. შუამავალმა ტერმინი - „ჰადისი“ გამოიყენა ისე, როგორც გამოიყენებოდა ლინგვისტური მნიშვნელობით და ყურანში.

„ფათჲ ალ-ბარის“ ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: „საუკეთესო ჰადისი- ეს არის ალლაჰის წიგნი“. „მუჰადდისუნმა“ (ჰადისის სწავლულებმა) გამოიყენეს ტერმინი ჰადისი იმის აღსანიშნავად, თუ რა იყო გადმოცემული შუამავლის მიერ, მისი ნამოქმედარის, გამონათქვამების, უსიტყვოდ მოწონების ან მისი „სი'ფათის“ (ფიზიკური გარეგნობის) აღწერის შესახებ. გარდა ამისა, „სუნნას“ (შემდეგ ტექსტში სუნა) პირდაპირი მნიშვნე-

ლობაა გზა, წესი ან ქცევის მანერა, იქნება ეს კარგი თუ ცუდი, და ყურანი ამ ტერმინს იყენებს ლინგვისტური მნიშვნელობით, რათა აღნიშნოს ეს პირდაპირი აზრი. თუმცა ტერმინები „ჰადისი“ და „სუნა“ შუამავლის საჰა-ბეების მიერ გამოიყენებოდა სხვადასხვა მნიშვნელობით.

მუსლიმები თვლიან, რომ შუამავალი ღვთიური ბრძანებით მოქმედებდა, რათა კაცობრიობისთვის აესხა ყურანი არა საკუთარი განსჯის მიხედვით, არამედ იმ სიტყვებით, რომლებიც ანგელოზმა ჯაბრაილმა გადასცა მას ღვთისგან. არაერთი აია მიუთითებს, რომ შუამავა-ლი არის ყურანის პირველი ინტერპრეტატორი. იბნ თაი-მიხას მიერ მოტანილი ყურანისეული ფრაზა ამ არგუ-მენტის გასაძლიერებლად („რომ თქვენ შეგეძლოთ, ხალხს ნათლად აუხსნათ, თუ რა არის მათთვის გაგზავ-ნილი“), ჩემი აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს აუცილებ-ლად იმას, რომ შუამავალი განმარტავდა ყურანს მთლი-ანობაში. ჩანს, რომ ეს უფრო მეტად გულისხმობს პრობ-ლემური აიების ახსნა-განმარტებას, ასევე იმ აიებისა, რომელთა გაგებაც მხოლოდ არაბულ ენაზე შეუძლებე-ლია, მაგალითად, აიები მარხვაზე, მომლოცველებსა და სხვა, რაც შეიძლება გაგებული იყოს მხოლოდ „სუნას“ მეშვეობით (მაგალითად, როგორ უნდა შესრულდეს ლოცვა). მუსლიმების მიმართ არაერთი მოწოდებაა ყუ-რანსა და ჰადისებში, რომ ყურანის გასაგებად მასვე უნ-და მიმართონ. მაგალითად 38-ე სურის 29-ე აიაში „ესაა სრულყოფილი წიგნი, რომელიც მოგივლინეთ, რათა გაი-გოთ მისი აიები, და გაიაზრონ ჭკუათმყოფელებმა“.¹⁶

¹⁶. ყურანის აიები თარგმნილია ტარიელ ნაკაიძის მიერ.

თავი მეოთხე

შუამავლის საპაბენების „თაფსირი“ და ფათვები

შუამავლის სიკვდილის შემდეგ კომპანიონები გახდნენ ყურანის ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერპრეტატორები. მათ თავიანთ „თაფსირებში“ გამოიყენეს მთელი რიგი წყაროები, მათ შორის შუამავლის განცხადებები და თავიანთი დასაბუთება ან გაგება (იჯთიჰადი), ისე როგორც არაბული გრამატიკა. მათ ასევე უწყოდნენ იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც ყურანის ზეგარდმოვლენა მოხდა, ასევე ზეგარდმოვლენის მიზეზები და მისი ადგილი. ამ დარგში ყველაზე გამორჩეულთა შორის არიან ოთხი ხალიფა (აბუ ბაქრი, ‘უმარი, ‘უსმანი და ‘ალი). არაბული სიტყვა „საჭირი“ (ზედსართავი სახელი) მომდინარეობს სახელზმნიდან (მასდარი) „სუჭბა“, რომელსაც ბევრი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყველა მათგანი უკავშირდება თანამოაზრეობის და დამორჩილების ცნებებს.

„საჭირი“ ისლამურ ისტორიოგრაფიაში შუამავლის თანამედროვეს აღნიშნავს — მას, ვინც ირწმუნა ის, როგორც შუამავალი, გვერდში ედგა მას და ამ მდგომარეობაში გარდაიცვალა. ტრადიციონალისტებსა და სამართალმცოდნებსა ამ ტერმინის საკუთარი განსაზღვრება აქვთ. ტრადიციონალისტები „საჭირის“ ან საპაბენებს უწოდებენ ყველას, ვინც ნამდვილად შეხვდა შუამავალ მუჰამადს (მათ საპირისპიროდ, ვისაც ის მხოლოდ ეზმანა). სამართალმცოდნები (უსულიუმ) საპაბენებად მიიჩნევან არამხოლოდ მათ, ვინც შეხვდა შუამავალს, არამედ

უფრო ფართოდ, ვინც გააცნობიერა მისი სამოციქულო მისია, გახდა მისი მიმდევარი, გვერდზე ედგა მას ხან-გრძლივი დროის მანძილზე და ამ დროის განმავლობაში ხშირად ხვდებოდა მას, სწავლობდა მისგან.¹⁷ სამართალ-მცოდნეთა დეფინიცია საპაბების რიგებიდან გამორიც-ხავს მრავალს, ვისაც ტრადიციონალისტები ამ სტატუსს ანიჭებენ, განსაკუთრებით მათ, ვისაც მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი შუამავალი მექის ერთადერთხელ მოხილ-ვის დროს.

საპაბები, იქნებოდა ეს შუამავლის ცხოვრების დროს თუ მის შემდეგ, ხანდახან იყენებდნენ თავიანთ მოსაზრებას ყურანისა და ჰადისის ინტერპრეტაციისას. მათი მხრიდან ეს ძალისხმევა გახდა ცნობილი, როგორც „რა’ ღ სპǎიბ“ (კომპანიონის აზრი, გამონათქვამი ან ფათ-ვა) და მისი ავტორიტეტი მუსლიმ სწავლულებს შორის იქცა დაპირისპირების საგნად.¹⁸ ყურანსა და ჰადისებში არსებობს მრავალი აია, რომლებიც უბრძანებს მუსლი-მებს, ეძიონ ცოდნა და ასწავლონ ის. ამ ბრძანებით შთა-გონებული კომპანიონები ჩაერთვნენ „თაფსირში“. მათ არ გაუკეთებიათ მთლიანი ყურანის ინტერპრეტაცია და არც თავიანთი წვლილის შემაჯამებელი კრებული დაუ-ტოვებიათ.

მკვლევარები იყოფიან ორ ჯგუფად კომპანიონების ინტერპრეტაციაზე სავალდებულო დათანხმების თვალ-საზრისით. მათ შორის, ვინც „სპǎიაბების“ ეგზეგეტიკას მიიჩნევენ სავალდებულო ხასიათის მქონედ, არიან იმამი

¹⁷. Ibid.

¹⁸. Sayf al-Din al-Amidi, Al-Ihkam fi Usul al-Ahkam, ed., Abd al-Razzaq Afifi, 2nd edn., (Beirut: Al-Maktab al-Islami, 1402 ah), vol. 4, pp. 140-145.

მალიქი, იმამ აჭმად იბნ ჭანბალი, იბნ თაიმიია და მისი მოწაფე იბნ კაშიმი. ისინი საკუთარ არგუმენტაციას აფუძნებდნენ უმთავრესად კომპანიონების ღირსებებსა და სიქველეზე, ვინაიდან მათ აქებდნენ როგორც ყურანში, ასევე ჰადისებში და ისინი იყვნენ გამოცხადების მოწმენი. გარდა ამისა, ისინი მაღალ დონეზე ფლობდნენ ყურანის ენას. მათ შორის, ვინც სანინაალმდეგო აზრს უჭერდა მხარს, ანუ მას, რომ საჰაბების „თაფსირი“ არ არის მნიშვნელოვანი, იყვნენ ალ-ლაზალი, იბნ ჭაზმი და აბუ ჰაशანი. მათი არგუმენტი ფოკუსირებულია იმაზე, რომ საჰაბების ინტერპრეტაციას პრაქტიკული მოსაზრებები განაპირობებდა, რომელიც შეიცავს შეუთანხმებელ წინაალმდეგობებს გარკვეულ ადგილებში. ფაქტიურად ეს გულისხმობს იმას, რომ საჰაბების „თაფსირის“ აღიარების ვალდებულება, მათი შეუთავსებელი განსხვავებებით, მუსლიმებს თავგზას აუბნევდა და დააბნევდა, რადგან ასეთ წინაალმდეგობებს აუცილებლად ექნებოდა პრაქტიკული გამოყენება მუსლიმთა ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ყურანის გასაგებად კომპანიონების ინტერპრეტაცია უეჭველად მნიშვნელოვანია და გააჩნია უდავო ღირებულება და თანდაყოლილი ღირსება შუამავალთან მათი სიახლოვისა და ყურანის ცოდნიდან გამომდინარე.

თავი მეხუთე
**მემკვიდრეების „თაფსირი“ და
 ფათვა (თაბი‘უნი)**

**დისკუსია მემკვიდრეების ინტერპრეტაციის სავალ-
 დებულოდ აღიარების შესახებ**

არსებობს უთანხმოება იმის თაობაზე, არის თუ არა „თაბი‘უნის“ (მემკვიდრეები) ინტერპრეტაციები იუ-
 რიდიული თვალსაზრისით სავალდებულოდ მისაღები.
 სამწუხაროდ, ამ საკითხის განხილვისადმი მიძღვნილი
 ისტორიული მასალები არ არის ვრცელი, როგორც თა-
 ნამოაზრების შემთხვევაში — აქედან ბუნებრივად გა-
 მომდინარეობს, რომ სწავლულებს, რომელთაც არ სჯე-
 როდათ შუამავლის თანამოაზრების ეგზეგეტიკის სა-
 ვალდებულო ხასიათისა (მაგ., ალ-ღაზლი, იბნ ჰაზმი და
 სხვები), არ გამოუხატავთ ინტერესი „თაბი‘უნის“ ინ-
 ტერპრეტაციის ავტორიტეტულობის განსახილველად.
 თუმცა, სუნიტი სწავლულების უმრავლესობა დათან-
 ხმდა, რომ მემკვიდრეების „იჯმა“ (ერთსულოვანი აზრი)
 არის სავალდებულო მტკიცებულება (ჰუჯჯა).

„თაბი‘უნი“ არის „თაბი‘ის“ მრავლობითი ფორმა.
 სიტყვა „თაბი“ არის აქტიური მიმღეობა, რომელიც
 მომდინარეობს სახელზმნიდან „თაბა‘ა“, რაც ნიშნავს
 „გაყოლას“. ამგვარად, „თაბი‘ის“ ნიშნავს ადამიანს ან თა-
 ობას, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან, წასულს
 ცვლის ახალი; ვინმე ან თაობა, რომელიც მისდევს ან
 ენაცვლება ნინას - მიმდევარი, მემკვიდრე. ფორმალური

თვალსაზრისით, „თაბი“ აღნიშნავს მუსლიმს, რომელ-
საც არ ჰქონია პირდაპირი კონტაქტი შუამავალ მუჰა-
მადთან (ს.ა.ს) (არ უხილავს იგი), მაგრამ ჰქონდა უშუა-
ლო კონტაქტი მის ერთ-ერთ კომპანიონთან (შეხვედრია
მას) და გარდაიცვალა, როგორც მუსლიმი.¹⁹ „თაბი‘უნი“,
ან მემკვიდრეები მიიჩნევიან ისლამის მეორე თაობად და
თანამოაზრების საუკეთესო მიმდევრულებად.

თუ სუნიტი მკვლევარები აღიარებდნენ ინტერპრეტაციას ან რელიგიური ფათვას ცალკეული მემკვიდრო-სა, აბუ ჰანიფას, სჯერა, რომ მემკვიდრეების ინტერპრეტაციები და მათი რელიგიური ბრძანებულებები არ არის სავალდებულო. ეს მხოლოდდამხოლოდ იმის გამოა, რომ მათ არ მიეცათ შანსი ეხილათ შეუამავალი ან ყოფილიყვნენ გამოცხადების მოწმენი. იბნ თამითად მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, მაშინ როცა აბუ ჰავედნისთვის „თაბი‘უნის“ ინტერპრეტაციაზე დათანხმება ინტელექტუალური და მეცნიერული თვითმკვლელობაა.²⁰ მეორე ჯგუფში, ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, შედიან აჭმად იბნ ჰანბალისა და მალიქის მიმდევარი რამდენიმე სამართალმცოდნე, რომელთაც სწამდათ, რომ უშუალო მემკვიდრეების ინტერპრეტაციები სავალდებულოა.²¹ თუმცა, თანამედროვე ჰანბალიტ იურისტს, აბდ ალლაჰ იბნ მუჰსინ ალ-თურქს და ჰანბალიტი სამართალმცოდნეების უმეტესობას მიაჩნდათ, რომ ყველაზე სარწმუნო

¹⁹ Ibn Kathir, Al-Baith al-Hatip fi Ikhtishar Umul al-Hadis (Beirut, Dar al- Fikr, 1967), p. 78.

²⁰. Ibn Taymiyyah, *Muqaddimah fi Usul al-Tafsir*, p. 105.

²¹. Muhammad Abu Zahrah, Al-Mujizah al-Kubra: Al-Qur'an (Beirut: Dar al-Fikr al-Arabi, n.d.) p. 513. Ibn Kathir, Tafsir Ibn Kathir, vol. 1, pp. 412-413.

ცნობა, მიღებული აპმად იბნ ჭანბალისაგან, მიუთითებს იმაზე, რომ „თაბი‘უნის“ მოსაზრებები არ არის სავალ-დებულო.

განსხვავებები „თაბი‘უნის“ მიერ ყურანის ინტერ-პრეტაციებში

„თაბი‘უნები“ განსხვავდებიან ხუთ საკვანძო სფე-როში: ფიკჰი, თეოლოგია, ყურანის ისტორიული პერსო-ნაჟები, ლინგვისტიკა და ყურანის ფრაზები. რაც შეეხე-ბა ფიკჰის სფეროს, აიების სამართლებრივი შედეგების საკითხებში განსხვავებები შეიძლება განპირობებული ყოფილიყო ამ აიების განსხვავებული გაგებით, ცოდნის ნაკლებობით შუამავლის გამონათქვამების შესახებ მო-ცემულ საკითხებზე, ან სუსტ ჰადისზე დამოკიდებულე-ბით. მაგალითისთვის ავილოთ მე-2 სურის 196-ე აია, რომელშიც ჩანს სპეციფიკურ საკითხზე შუამავლის ნათ-ქვამის არასწორად გაგება: „აღასრულეთ „ჰაჯი“ და „უმ-რა“ ალლაჰისათვის. ხოლო თუ (თქვენსუნებურად) ბრკოლდებით მაშინ (გაგზავნეთ) ყურბანთაგანი, რაც თქვენ გეიოლებათ, და არ მოიპარსოთ თავნი თქვენი ვიდ-რე არ მიაღწევდეს ყურბანი შენირვის ადგილამდე...“ ჰა-დისში შუამავალმა დააკონკრეტა (ჰადისი დაზუსტებუ-ლია ალ-ბუხარისა და მუსლიმთან), თუ რამდენი დღე უნდა იმარხულო და რამდენი გაჭირვებული ადამიანი უნდა გამოკვებო, როდესაც მავანს, რაიმე მიზეზიდან გამომდინარე ხელი, ეშლება ჰაჯისა და უმრას ალსრუ-ლებაში. თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ „თაბი‘უნები“ გან-სხვავდებიან მარხვის დღეების რაოდენობითა და იმ გა-ჭირვებულ ადამიანთა რიცხვის თვალსაზრისით, რომელ-

თაც უნდა დაეხმაროს ერთი ადამიანი.

გარდა ამისა, არსებობს ყურანის ცნობები ცალკე-ულ პიროვნებებზე, რომელთა რეალური სახელებიც არ არის მოცემული. მიუხედავად ამისა, „თაბი‘უნი“ მაინც ცდილობდნენ ამა თუ იმ გზით მოეხდინათ მათი იდენტიფიცირება (სავარაუდოდ, ეყრდნობოდნენ თორასა და ახალ აღთქმას) და არ იყო გასაკვირი მათი განსხვავებული შეხედულებები იმის თაობაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი. მაგალითად, ყურანში მე-2 სურის 246-ე აიაში ასეა ნათევამი: „ნუთუ არ გიხილავს ისრაილის შვილთა ელიტა მუსას შემდეგ, როცა (მათ) თავიანთ შუამავალს უთხრეს: მოგვივლინე ჩვენ მეფე, რომ ვიბრძოლოთ ალლაჰის გზაზე...“ ყურანში არ არის გაუღერებული ისრაელის ამ მოციქულის სახელი, მაგრამ ზოგიერთი „თაბი‘უნი“ ცდილობდა დაედგინა მისი ვინაობა.

თეოლოგია ეხება „თაბი‘უნების“ საკუთარ გაგებას ყურანის აიებისა და მის ინტერპრეტაციებს ჰადისისა და საჰაბების მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე. ამ ინტერპრეტაციის მაგალითის ნახვა შესაძლოა მე-4 სურის 159-ე აიაში: „არ იქნება ღვთიურ წიგნის მფლობელთაგან (არავინ), რომ სიკვდილამდე უთუოდ არ ინამონ იგი და ყიამეთის (განკითხვის) დღეს იქნება მოწმედ მათდა ნინააღმდეგ“. არაბულ ორიგინალში არსებული სიტყვა ზამირ-ის ნაცვალსახელი „ჰი“, რისი მნიშვნელობაცაა „მის“ და ფრაზაში „კაბლა მავთიჰი“ (მის გარდაცვალებამდე) შეიძლება აღნიშნავდეს ინდივიდს საღვთო წიგნის ან იესოს ხალხიდან. თუ ნაცვალსახელი „ის“ ეხება ინდივიდს საღვთო წიგნის ხალხიდან, მაშინ აიას აზრი იქნება ის, რომ საღვთო წიგნის ხალხს აუცილებლად უნდა სწამდეს

იესოსი, როგორც ლვთის მოციქულისა, სანამ ის (ინდი-ვიდი) არ მოკვდება. თუმცა, თუ ნაცვალსახელი „ის“ ეხება იესოს, მაშინ აიას მნიშვნელობა იქნებოდა, რომ „არავინაა საღვთო წიგნის ხალხიდან, მაგრამ მისი უნდა გჯეროდეს მის გარდაცვალებამდე“.

ლინგვისტიკა ეხება ინდივიდუალურ სიტყვებს ან ტერმინებს, თაბიუნებს ერთნაირად არ ესმით, მათი სხვადასხვაგვარი ლინგვისტური ცოდნიდან გამომდინარე. უფრო საინტერესო ის არის, რომ მათ ასევე სხვადასხვაგვარად ესმით ყურანის ზოგიერთი ტერმინი, რომლებიც სავარაუდოდ წარმოშობით უცხო ენებიდანაა. მაგალითად, სიტყვა „ას-სამად“, მოხსენებულს ყურანის 112-ე სურის მე-2 აიაში, სხვადასხვა გზებით განიმარტება: ზად იბნ ასლამი მიიჩნევს მას ალ-საჟიდად (ოსტატი); ცნობილ სწავლულს კათადას ეს ესმის, როგორც „ალ-ბაჟი ბა‘დ ხალიკა“ (ის, ვინც აჯობა მის შემოქმედებას); ‘იქრიმა იბნი ამრ იბნი ჰიშამი ხსნის მას, როგორც „ალლაზ ლამ იახრუჯ მინჰუ შაი‘ ვა ლა ღუტ‘ამ“ (ის, ვინც არ აგდებს რაიმეს ან საჭიროებს კვებას);²² არ-რაბი‘ იბნ ანასი ამტკიცებს, რომ ამის მნიშვნელობაა „ალლაზი ლამ დალიდ ვა ლამ ღულად“ (ის, ვინც არ შობილა და არც უშვიათ);²³ დაბოლოს, მუჯჯადიდის, სა‘სდ იბნ ჯუბარის, ას-სუდისა და ალ-დაჟაქეის მიხედვით, ას-სამად არის „ნურ დათალა‘ალა‘“ (შუქი, რომელიც ანათებს);²⁴ სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყ-

²². Ibid., vol. 7, p. 412.

²³. Ibid.

²⁴. Ibid.

ვანოთ სიტყვა აზ-ზაითუნ, რომელიც ნახსენებია ყურანის 95-ე სურის პირველ აიაში: ქა'ბ ალ-აჭბარი და კათადა თვლიან, რომ ის აღნიშნავს წმინდა მეჩეთს იე-რუსალიმში, ხოლო მუჯადები და 'იქრიმა მიუთითებენ, რომ ეს არის ზეთისხილი, როგორც ეს ცნობილია.

ყურანის ფრაზები დაკავშირებულია ყურანის ტერმინებთან, რომელთა ინტერპრეტაციაც „თაბი‘უნებმა“ სხვადასხვაგვარად მოახდინეს იმ ჰადისის არცოდნის გამო, რომელშიც ნახსენებია ამ ფრაზების მნიშვნელობა ან იმიტომ, რომ არ არსებობს ამ რთულ ტერმინებთან დაკავშირებული ჰადისები, რაც იწვევდა იმას, რომ ყოველი ადამიანი იყენებდა თავის პირად მოსაზრებას ან ცოდნას მნიშვნელობის განსამარტად. ამგვარად, მე-15 სურის 87-ე აიაში ფრაზა „და ვფიცავ, გიბოძეთ (მუჰამმად) შენა შვიდი განმეორებადი (აია) და დიდი ყურანი“. სხვადას-ხვაგვარად არის ინტერპრიორებული. იბნ ‘აბბასის მოს-წავლეებისთვის, განსაკუთრებით მუჯადების, სა’იდ იბნ ჯუბავრის და ალ-დაჭპექისთვის, ისე როგორც მათი მასწავლებლის იბნ ‘აბბასისთვის, ეს ნიშნავდა ყურანის შვიდ, ყველაზე გრძელ თავს. სხვა მხრივ, ალ-ჰასან ალ-ბასრის, კათადას და საბოლოო ჯამში, მუჯადებისათვი-საც (რომელიც თავდაპირველად ჰირველ მოსაზრებას უჭერდა მხარს) ალ- საბ‘ ალ-მათანი ნიშნავდა მხოლოდ ალ-ფათიჰას (ყურანის პირველ სურას). ისინი იმოწმებენ ალ-ბუხარისთან მოძიებულ ჰადისს ამ ინტერპრეტაციის მხარდასაჭერად, მაშინ როცა წინა მოსაზრების ავტო-რები არ ეყრდნობოდნენ არცერთ ჰადისს.

**„თაბი‘უნის“ „თაფსირის“ ძირითადი დახასიათება,
წყაროები და მეთოდოლოგია**

იმ მტკიცებების მიუხედავად, რომ ზოგიერთმა „თაბი‘უნმა“, როგორიცაა მუჯაჰიდი, სა’სდ იბნ ჯუბაჩრი და სხვები, დაწერა ყურანის განმარტებები, მათი ტექსტები არ ეხებოდა ყურანის ყველა აიას. ზოგადად რომ ვთქვათ, „თაბი‘უნის“ „თაფსირი“ იყო მარტივი და ნათელი. მასში შეტანილი იყო ძალიან ცოტა პოეტური ციტატა ყურანის ტექსტის განსაზღვრისთვის და ასევე აკლდა გრამატიკული ანალიზი. მათგან ზოგიერთმა, მაგალითად კათადამ, წარმოადგინა ზოგიერთი აიას რიტორიკული და ლინგვისტური დაკვირვება. მათ ასევე განმარტეს ცალკეული სიტყვების მნიშვნელოვანი რაოდენობა (რომელთა რაოდენობა და გამოყენების მიზნები ამ კვლევის ამოცანის ფარგლებს სცდება).²⁵

„თაბი‘უნები“ თავიანთ ეგზეგეტიკაში ძირითადად იყენებდნენ სამ წყაროს. ერთი იყო ყურანი. მეორე წყარო იყო „საჭაბა“, რომელსაც მემკვიდრეები ფართოდ ეყრდნობოდნენ თავიანთ ეგზეგეტიკაში. მესამე წყარო იყო დამოუკიდებელი აზრი. ყურანის ინტერპრეტაციისას გამოყენებული კიდევ ერთი წყარო იყო „ისრა’სლილათ“, რომელსაც განსაკუთრებით მიმართავდნენ იბნ ‘აბბასის სტუდენტები.

მუსლიმი სწავლულები იყოფიან ორ ჯგუფად „თაბი‘უნის“ ეგზეგეტიკის სავალდებულოდ ავტორიტეტულად აღიარების თვალსაზრისით. უმრავლესობას სწამს, რომ მათი განმარტებები არ უნდა იყოს „ჰუკკა“,

²⁵. Sahih Al Buhari“, vol. 4, pp. 123-170.

(უდავო მტკიცებულება) რადგან ისინი არ შეხვედრიან შუამავალს პირადად ან არ უწყიან გამოცხადებასთან დაკავშირებულ პირობებს.

სხვები მიიჩნევენ, რომ „თპბი‘უნის“ ეგზეგეტიკური ნაშრომები დაფუძნებულია ცოდნაზე, რომელიც მათ მიიღეს საჭაბებისგან. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ „საჭაპბას“ ნაშრომების, როგორც სავალდებულოდ მისაღების, თანასწორი სტატუსი, რამდენადაც „თპბი‘უნის“ მიერ მოპოვებული ნებისმიერი ცოდნა იქნებოდა იგივე, რაც მათი მასწავლებლებისა იყო.

ამასთანავე, საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი „თპბი‘უნის“ ეგზეგეტიკის სავალდებულოდ მიღებასთან დაკავშირებული დასაბუთებები და მიზეზები წაკლებადაა დამოკიდებული სქოლასტიკურ მონაცემებზე, არამედ ეფუძნება მხოლოდ ფაქტებს ან იმ ადამიანების დამსახურებებს, რომლებიც ცხოვრობდნენ შუამავლის დროს და ჰქონდათ მასთან კონტაქტი.

თავი მემკვე
მოსაზრებაზე დაფუძნებული
„თაფსირი: ათ-თაფსირ ბი-რ-რა’ۃ“

არაბული ლექსიკონის მიხედვით სიტყვა „რა’ۃ“ არის სახელზმნა. მას აქვს მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობა, რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც თვალებით დანახვა, გონებით აღქმა, გამოხატვა, ვარაუდი.²⁶ ისეთი მუსლიმი გრამატიკოსებისა და ენათმეცნიერების აზრით, როგორებიც არიან იბნ ჰიშამ ალ-ანსარი და იბნ მალიქი, სიტყვა „რა’ۃ“ წარმოსდგება სიტყვისაგან „რა’ۃ“, და არის გარდამავალი ზმნა, რომელიც ილებს ერთ ან ორ პირდაპირ ობიექტს. თუ ეხება ერთ პირდაპირ ობიექტს, ეს ნიშნავს თვალებით დანახვას, ანუ „რა’ۃთუ ზაიდ“ ნიშნავს „მე ვხედავ ზაიდს“ (სიტყვასიტყვით) (ჩემი) თვალებით. თუ საქმე ეხება ორ პირდაპირ ობიექტს, ეს ნიშნავს გონებით დანახვას ან ვარაუდს,²⁷ ანუ „რა’ۃთუ ალლაჰ აქბარ მი ნ ქულლი შაჰ“, სიტყვასიტყვით ნიშნავს „მე დავინახე ყოველივეზე დიადი ღმერთი, ან მე მჯერა, რომ ღმერთი ყოველივეზე დიადია.“ აქ ზმნა „რა’ۃ“ ნიშნავს რწმენას, რადგან ის ეხება ორ პირდაპირ ობიექტს.

ტერმინ „რა’ۃს“ ყურანში ვხვდებით სხვადასხვა ფორმით (წარსული, აწმყო და სახელზმნა), ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობის გამოსახატავად. მაგალითად, მე-6 სურის 76-ე აიაში: „და როდესაც მას ლამე

²⁶. Ibn Manzur, Lisan al-Arab (Beirut: Dar Shadir, n.d.), vol. 14, pp. 299-300.

²⁷. Jamal al-Din Abu Muhammad ibn Abd Allah ibn Yusuf ibn Hisham al-Ansari, Al-Tashrih alal Tavhid, eds., Majmu‘ah min al ‘ulama’ (Beirut: Dar al-Fikr, n.d.), vol. 1, p. 26.

გადაეძურა, დაინახა ვარსკვლავი....“ – ტერმინი „რა’შ“ (მან დაინახა) გამოიყენება თვალით აღმოჩენის მნიშვნელობით.²⁸ ხოლო მე-8 სურის 48-ე აიაში: „... მე უთუოდ ვხედავ, რასაც ვერ ხედავთ თქვენ...“, სიტყვა „რა’შ“ იხ-მარება თვალებით შეხედვის მნიშვნელობით. შუამავლის ჰადისებში სიტყვა „რაის“ გამოყენებას ორი მნიშვნელობით მოვიძიებთ: პირველი, როგორც პირადი აზრი, და მეორე, როგორც იჯთიჰადის (პირადი ძალისხმევა) ექვივალენტი. კომპანიონების დროს, სიტყვა „რა’შ“ ასევე გამოიყენებოდა ორი განსხვავებული მნიშვნელობით: პირველი, როგორც დამოუკიდებელი პირადი აზრი ყურანისა და შუამავლის ტრადიციის მკაფიო მითითების არარსებობის პირობებში, და მეორე, როგორც „კიდასის“ (დასკვნა ანალოგიის საფუძველზე) ექვივალენტი.

„თანა’შნის“ ეპოქის დროს, ისლამში სხვადასხვა პოლიტიკურ-თეოლოგიური ჯგუფების ჩამოყალიბებას მოჰყვა ტერმინ „რა’ხს“ ისეთი ეგზეგეტიკური კონტაციის წარმოქმნა, რომელსაც სექტანტური ხასიათი ჰქონდა ან ბიდ’ა (დაუშვებელი სიახლე) იყო. აქედან გამომდინარე, „ბი-ლ-რა’ხს“ ეგზეგეტიკა, საბოლოო ჯამში, აღნიშნავდა ყურანის ისეთ ინტერპრეტაციას, რომლის საფუძველიც არ არსებობდა შუამავლის ჰადისებში და მისი თანამოაზრების შესახებ გადმოცემებში. ამგვარად, „რა’შ“ გახდა დამამცირებელი ტერმინი ეგზეგეტიკასთან მიმართებაში. ერთხელ ‘უბათდ ალლაჰს, ‘უმარ იბნ-ხაფ-ტაბის შვილიშვილს, ჰკითხეს მისი აზრი ზათდ იბნ ასლამის შესახებ (გამოჩენილი მედინელი ეგზეგეტიკოსი მემ-

²⁸. Ibid., vol. 3, p. 397.

კვილრეებიდან). მან უპასუხა: „**მე ვერ ვხედავ მასში ვერა-ფერს ცუდს იმის გარდა, რომ ის აკეთებს ყურანის ინტერ-პრეტაციას პირადი მოსაზრების გამოყენებით**“.²⁹ მიუხედავად ზემოხსენებული მნიშვნელობისა, ზოგადად რომ ვთქვათ, ტერმინი „რა’ღ“ გამოყენებული იყო იჯთიჭადის, პირადი აზრის, „კიდასის“ და რწმენის (ი’თიკად) ალსანიშნავად.

„**ათ-თაფსირ ბი-რ-რა’ღ**“ გამოიყენება ყურანის იმ ტექსტის განსამარტად, რომელიც არ არის დამოკიდებული ჰადისზე, არამედ იყენებს ინტელექტს (გონების გამოვლენა), რათა ჩანვდეს ღვთის სიტყვას და დაფუძნებულია არაბული ენის სანიმუშო ცოდნასა და „**თაფსირის**“ პრინციპების განსახორციელებაზე.³⁰ ყურანის ნებისმიერ განმარტებას, რომელიც შეესაბამება ამ მოსაზრებას, ეწოდება „**ათ-თაფსირ ბი-რ-რა’ღ** ალ-მაჰმუდ ან ალ-მამდუჰ, ანუ „**სანაქებო განმარტება**“. თუმცა ყურანის ნებისმიერ განმარტებას, რომელიც არ შეესაბამება ამ განსაზღვრებას, ფორმალურად ეწოდება „**ათ-თაფსირ ბი-რ-რა’ღ** ალ-მაზმუდ, ანუ „**ნაკლის მქონე განმარტება**“.³¹ ამგვარად, „**ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ღ** ალ-მაზმუდ“ განისაზღვრება, როგორც ეგეზეგეტიკა „**თაფსირის**“ წყაროების, შარიათის საფუძვლიანი ცოდნის და არაბული ენის სანიმუშო ფლობის გარეშე. ამიტომაც, ისლამური თვალთახედვიდან რომ ითქვას, „**ათ-**

²⁹. Ibid., vol. 3, p. 397.

³⁰. Muhammad ibn Abd al-Rahman ibn Abd al-Rahim al-Mubarakpuri, Tuhfatal-Ahwadhi bi Sharh Jami al-Tirmidhi, ed., Abd al-Rahman Uthman, (Beirut: Dar al-Fikr, n.d.), vol. 1, pp. 270-80.

³¹. Al-Ghazali, Ihya Ulum al-Din, vol. 1, p. 292.

თაფსირ ბი-რ-რა' ღ "იყოფა ორ კატეგორიად: „ალ-თაფსირ ბი-რ-რა' ღ ალ-მაჰმუდ და ათ-თაფსირ ბი-რ-რა' ღ ალ-მაჰმუმ“". სუნიტ სწავლულებს შორის, რომლებიც უარყოფენ „ათ-თაფსირ ბი-რ-რა' ღ ალ-მაჰმუმს“, არის სამი გამოჩენილი მეცნიერი: ატ-ტაბარი, ალ-ლაზბლი და იბნ თამიდა.

ატ-ტაბარის სჯეროდა, რომ ყურანის ინტერპრეტაცია მხოლოდ ოთხი გზით უნდა იყოს მიღწეული: პირველი, არსებობს რამდენიმე აია, რომელთა გაგებაც შესაძლებელია მხოლოდ შუამავლის მიერ მოცემული ახსნით; მეორე, ზოგიერთი აიას ინტერპრეტაციის გაგება მხოლოდ თავად ღმერთს შეუძლია; მესამე, იმის გაგება, რომ არსებობს აიები, რომელთათვისაც უმეცრება არ არის ნებადართული და არც ეპატიებათ; და მეოთხე, ზოგიერთი აიას ინტერპრეტაციის გაგება მოითხოვს მხოლოდ მეცნიერულ ცოდნას.³² ალ-ლაზბლი მიიჩნევდა, რომ ყურანი შეიცავდა ფარულ მნიშვნელობებს, რომლებიც შეიძლებოდა არასწორად გაგებულიყო თუ მხოლოდ პირდაპირ ლიტერატურულ არაბულ ენას დაეყრდნობოდნენ (ლია მნიშვნელობა - „ზპპირ“). ამიტომაც ნებისმიერი, ვისაც არ ესმის ლიტერატურული არაბული, გამოიყენებს პირად მოსაზრებას ფარული მნიშვნელობების ასახსნელად. აქედან გამომდინარე, ის ამტკიცებდა, რომ პადისები აუცილებელია ყურანის პირდაპირი და კონკრეტული მნიშვნელობის გაგებისა და ახსნისთვის. რო-

³². Ibn Taymiyyah, Majmu Fatawa Shaykh al-Islam Ahmed ibn Taymiyyahh, ed., Ahmed Abd al-Rahman ibn Muhammad ibn Qasim al-Najdi al-Hanbali,(Makkah: Mabaṭah al-Nahāh al-Hadīthah, 1404 / 1983), vol. 13, p. 471.

გორც ჩანს, იბნ თამიშვილი ეთანხმებოდა „ათ-თაფსირ ბირ-რა’ი ალ-მაჰმუდის“, მაგრამ სჯეროდა, რომ ისინი, ვინც თანამოაზრებისა და მემკვიდრეებისგან განსხვავებულ ყურანის ინტერპრეტაციის სხვა მეთოდს იყენებდნენ, ცდებოდნენ.

შუამავლისა და პირველი ორი ხალიფას (აბუ ბაქ-რისა და ‘უმარის) დროს, ტერმინი „რა’ი“ არ შეიცავდა არანაირ უარყოფით კონოტაციას. ის გაეხსული იყო, როგორც პირადი აზრი და ანალოგით განსჯა. მესამე ხალიფას, ‘უსმანის მკვლელობის შემდეგ, როდესაც მუსლიმებს შორის შიდა განხეთქილება მოხდა, ზოგადად თითოეული ჯგუფი, მათ შორის აბუ ბაქრის და ‘უმარს მხარდამჭერები, იყენებდნენ ყურანს საკუთარი პერსპექტივის მხარდასაჭერად. ამასთანავე, ისტორიულად აზ-როვნების განსხვავებული სკოლები ჩამოყალიბებით სხვადასხვა თეოლოგიური ან პოლიტიკური განსხვავებების შედეგად, სამწუხაროდ, „თაფსირი“ ჩათრეული აღმოჩნდა პოლემიკაში, რასაც მოჰყვა ობიექტურობის გარდაუვალი დაკარგვა.

კრიტიკულმა ხედვამ „არ-რა’ის“ ოპონენტებისა და მხარდამჭერების არგუმენტებზე, აჩვენა, რომ ზოგიერთ არგუმენტს ესაჭიროებოდა უფრო მეტი მხარდაჭერა, როდესაც სხვა არგუმენტები არარელევანტურად ჩაითვალა. მაგალითად, „რა’ის“ ოპონენტებმა შეეძლოთ მე-16 სურის 44-ე აიას ციტირება: „...შენ (მუჰამმედ) გარდმოგივლინეთ (ღვთიური) წიგნი (ყურანი) რათა ნათლად განუმარტო ხალხს, ის რაც, რომ მათდამი იქნა გარდმოვლენილი, რამეთუ (ეგება) დაფიქრებულიყვნენ“, მათ მიერ „რა’ის“ აკრძალვის დასასაბუთებლად. ჩემი აზრით, ეს

არგუმენტი სუსტია. არსებითად, შუამავალს არ აუხსნია მთელი ყურანი, მისი უმეტესი ნაწილიც კი, და მისმა თანამოაზრებმა გამოიყენეს პირადი მოსაზრებები ზოგიერთი აიას განსამარტად. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სწავლულების ძირითადი პოზიცია არის ის, რომ „ათ-თაფსირ ბი-რ-რა’ء“ („ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ء ალ-მაჰმუდ-ის კატეგორიის ჩარჩოებში) დასაშვებია გარკვეულ პირობებში იმ ადამიანებისთვის, ვინც ფლობს შესაბამის წყაროებზე დაფუძნებულ სათანადო ცოდნას.

თავი მეშვიდე
ყურანის თანამედროვე
ინტერპრეტაციის ტენდენციები

1750 წლიდან მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე სულ უფრო მეტად ვლინდებოდა მუსლიმური სამყაროს ოკუპაცია და დაკრინება. ცივილიზაცია, დასავლეთის კულტურული და პოლიტიკური გავლენით, უკიდურესად ღრმად იჭრებოდა მუსლიმების ცხოვრების ყველა ასპექტში - სოციალურად, პოლიტიკურად, განათლებით, კულტურითა და ეკონომიკით. ამ ტალღის შეჩერების მიზნით, წარმოიშვა აღორძინების სხვადასხვა იდეა და რეფორმატორული მოძრაობა ისლამური იდენტობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, რისი მაგალითიცაა ინდოეთი და ეგვიპტე. ამ მოძრაობათაგან ზოგიერთი ცდილობდა მიზნების მიღწევას რაციონალური, ინტელექტუალური და სამეცნიერო მიდგომების გამოყენებით ისლამის, როგორც ცხოვრების გზის ინტერპრეტირებისათვის. აქედან გამომდინარე, დღის სინათლე იხილა ახალმა ტენდენციებმა ზოგადად ისლამურ ლიტერატურაში და კონკრეტულად „თაფსირში“, განსაკუთრებით ინტელექტუალურ, მეცნიერულ, რიტორიკულ, ფილოლოგიურ, ტრადიციულ და ბუნების ისტორიაში.

ინტელექტუალური მიდგომის დამცველების მიზანია მუსლიმების გამოფხიზლება, რათა შეიცნონ, რომ ყურანის ზეგარდმოვლენა, პირველ რიგში, მოხდა ადამიანების სახელმძღვანელოდ და რომ ის ასწავლის კაცობრიობას, თუ როგორ უნდა მიაღწიონ წარმატებას ამ-ქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ამრიგად, ყურანი

წარმოდგენილია, როგორც პასუხი კაცობრიობის ყველა სულიერ თუ ცხოვრებისეულ პრობლემაზე. მუსლიმებმა მხოლოდ ყურანში უნდა ეძიონ ყველა მათი პრობლემის გადაწყვეტა მათი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში: იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ყოველ-დღიური საქმეები თუ სხვა. ამ მიდგომის თანახმად, მუსლიმებმა უნდა გაიგონ ყურანი, როგორც სახელ-მძღვანელო წიგნი, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამენ მუსლიმები საკუ-თარ პრობლემებს თანამედროვე სამყაროში.

ამ ტენდენციის ყველაზე პოპულარული ნიმუშია დიდი მოცულობის ნაშრომი „თაფსირ ალ-კურ’პნ ალ-ჭაქრიმის“, რომელიც ჩვეულებრივ მოიხსენიება, როგორც „თაფსირ ალ-მანარი“. „თაფსირ ალ-მანარი“ შეიცავს სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და წინადადებებს, დაწყებული შუამავლის, ასევე მისი თანამოაზრების ინტერ-პრეტაციით, გაგრძელებული უშუალო შთამომავლებით და ლინგვისტური მოსაზრებებით, როგორებიცაა რიტო-რიკა, ციტატები ეპრაული და ქრისტიანული წყაროები-დან და სამართლებრივი საკითხებით. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი კარგად მიიღო მუსლი-მურმა სამყარომ.

თანამედროვე სამყაროს სამეცნიერო მიღწევების გამო, სამეცნიერო მიდგომა მტკიცედ უჭრს მხარს ყუ-რანის გაგებას თანამედროვე მეცნიერების შუქზე — უფრო მეტად, ვიდრე იურისპრუდენციის მიდგომის სა-ფუძველზე. ამ ტენდენციის ერთ-ერთი გამორჩეული საკვანძო ნაშრომია „ალ-ჯავაჰერი“ ფირ თაფსირ ალ-კურ’პნ ალ-ქარიმ“ (წმინდა ყურანის თაფსირის მარგალიტები),

რომლის ავტორია შეიხ ჯავაჟარ ტანტავი (გ. 1940). ტანტავიმ განაცხადა, რომ მეცნიერული მიდგომა ყურანის ინტერპრეტაციისთვის დაფუძნებული იყო ინდივიდუალური იურისპრუდენციის შემთხვევაში ეს ასე არ იყო. ამგვარი მიდგომით, ის ღიად დაესხა თავს იურისტებს იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს ჩაერთოთ მეცნიერული მიდგომა. თანამედროვე სწავლულებს ტანტავის მეთოდოლოგია დიდი ენთუზიაზმით არ მიუღიათ. სუბჰი ალ-სალიპშა, იენსენმა და სხვებმა გააკრიტიკეს იგი, მათი აზრით, გადაჭარბებული ყურადღებისთვის სამეცნიერო მოსაზრებებისადმი და სხვა იდეებისთვისაც იმდენად, რომ მისი ნაშრომი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ჭეშმარიტ ეგზეგეტიკად.³³

რიტორიკული მიდგომის სტილი ატარებს რიტორიკულ ხასიათს. ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობა უშუალოდ სოციოლოგიურ მოსაზრებებს. საიდ კუტბის ნაშრომი „ფი ზილალ ალ-ყურანი“, რომელიც კაიროში გამოქვეყნდა რვა ტომად, არის ასეთი მიდგომის ცნობილი მაგალითი. მის შესავალ წერილში საიდ კუტბი აცხადებს, რომ მუსლიმური თემისა და კაცობრიობის პრობლემების მოგვარება მხოლოდ ყურანის სწავლებითა და პრაქტიკული გამოყენებითაა შესაძლებელი, უბრალოდ იმიტომ, რომ ყურანი იყო წიგნი, რომლის ზეგარდმოვლენა მოხდა, უპირველეს ყოვლისა, კაცობრიობის წინამდლოლობისთვის ბედნიერებისა და მშვიდობის მისაღწევად.³⁴ ნაშრომი „ფი ზილალ ალ-კურ'ან“ ფართოდაა

³³. Subhi al-Salih, Mabahith fi Ulum al-Qur'an, 2nd edn., (Beirut: Dar al-Malayin, 1986), p. 297.

³⁴. Sayyid Qutb, Fi Zilali al-Qur'an, 10th edn., (Beirut: Dar al-Shuruq, 1982/1400),

აღიარებული მუსლიმების მიერ მთელს მსოფლიოში უბრალოდ იმიტომ, რომ ის ფოკუსირებას ახდენს სოციალურ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც მის დროში მუსლიმები იდგნენ.

ფილოლოგიური მიდგომის მიხედვით, ყურანი გაგებული უნდა იყოს არაბულ ენის საშუალებით, რადგან მისი ზეგადმოვლენა არაბულ ენაზე მოხდა. ამ მიდგომის თანახმად, მავანმა უნდა იცოდეს ყურანის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და ტექსტის ზეგარდმოვლენის დროსა და ადგილთან დაკავშირებული გარემოებები. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს „თაფსირის“ სრული ნაშრომი, რომელიც გამოხატავს ამ ტენდენციას, მაინც არის ერთი არასრული ნაშრომი, რომელიც ემსახურება ამ მიზანს. ეს ნაშრომი, სახელწოდებით „თაფსირ ალ-ბახან ლი-ლ-კურ'ან“ დაწერა აიშა ბინთ აბდ არ-რაჰმან აშ-შატიმ, რომელიც უფრო ცნობილია ბინთ აშ-შატის სახელით. მისი „თაფსირი“ იყო აღწერილი მანა ალ-კატ-ტანის მიერ, როგორც მისაღები ძალისხმევა. თუმცა, ის გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამს ამ მეთოდის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, რაც ეხება ყურანის მეცნიერებების ზოგიერთ ასპექტს, სასწაულების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია ყურანის კანონებთან და საბაზისო პრინციპებთან.³⁵

ტრადიციული მიდგომა დიდწილად ეფუძნება კლასიკურ „თაფსირსა“ და ლიტერატურას, მაგრამ ის ასევე ეხება თანამედროვეობის ზოგიერთ საკითხს. ამ მიმარ-

vol. 1, pp. 11-16.

³⁵. Al-Qattan, Manna ibn Khalil, Mabahith fi Ulum al-Qur'an (Cairo: Maktabat Wahba, 1981), p. 375.

თულების წარმომადგენლები არიან შეიხი მუჰამმად ჯა-
მალ ალ-დინ ალ-კასიმი (1866-1914) ნაშრომით „მაჰასინ
ათ-თა'ვილ“ და მუჰამმად ათ-თაჰირ იბნ აშური, ავტო-
რია ასევე ცნობილი ნაშრომისა „ათ-თაჰირ ვა ათ-
თანვის“. ეს თხზულება, თავისი ბუნებით, უაღრესად
ყოვლისმომცველია და მიდგომის თვალსაზრისით ტიპუ-
რი კლასიკურია. იგი თავისუფლად შეიძლება აღინეროს,
როგორც „ენციკლოპედია“.

მუჰამმად აზ-ზაჰაბი (1915-1977) აღნერს მიდგო-
მას, რომელიც ფოკუსირებულია ბუნების ისტორიაზე,
როგორც განგომილებისთვის ერთ-ერთ რჩეულზე და
მათ მიერ გამოყენებულზე, მაშინ როცა იანსენი მას ბუ-
ნების ისტორიის მიდგომად მოიხსენიებს. ტენდენცია ამ-
ტკიცებს, რომ ყველა თაფსირული ლიტერატურა უსარ-
გებლოა. ის უარყოფს კიდეც ყურანისა და ჰადისის ზო-
გიერთ დამკვიდრებულ პრინციპს, ასევე მოციქულების
იბრაჰიმის, მუსას, ისას, სულეიმანისა და ა.შ. სასწაუ-
ლებს, იმის პრეტენზიის განცხადებით, რომ წარმოად-
გენს ყურანის გაგების ახალ მეთოდს. მისი ერთ-ერთი
გამორჩეული წარმომადგენელია მუჰამმად აბუ ზადი,
რომელმაც დაწერა მეტად საკამათო ნაშრომი - „ალ-
ჰიდა ვა ალ-ირფაზ“. ალ-აზჰარის უნივერსიტეტიმა ამ
ნაშრომის კონფისკაცია მოხდინა, მისი ავტორი რჯულ-
განდგომილად და გამოსცა ფათვა მისი შინაარსის უარ-
საყოფად.³⁶

³⁶. Muhammad Husayn al-Dhahabi, Al-Tafsir wa al-Mufassirun, 1st edn., (Cairo:
Dar al-Kutub al-Hadithah, 1961/1381), vol. 2, pp. 500-9.

დასკვნა

ყურანის „თაფსირს“ (ეგზეგეტიკას) ხანგრძლივი ის-ტორია აქვს. მისი მიზანია გამოააშეარავოს ყურანის ნამ-დვილი აზრი. მუფასსირების (ეგზეგეტიკოსების) ყოველი თაობა უდგებოდა „თაფსირს“ მხოლოდ იმ ეპოქის, რო-მელშიც ისინი ცხოვრობდნენ დროის სულისკვეთების, ად-გილისა და პირობების პერსპექტივებიდან გამომდინარე. ყურანის ინტერპრეტაცია დაიწყო მუჰამად შუამავლის, უზენაესი ეგზეგეტიკოსის მიერ, რომელმაც წარმოადგინა ზუსტი და მკაფიო განმარტებები. მისი გარდაცვალების შემდეგ, თანამოაზრები თვლიდნენ, რომ მათ ჰქონდათ ლვთაებრივი მოვალეობა, გაევრცელებინათ და ესწავლები-ნათ ყურანი და მისი ინტერპრეტაცია მუსლიმების მომ-დევნო თაობებისთვის. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბ-და ყურანის ინტერპრეტაციის ოთხი ძირითადი სკოლა.

თითოეულმა ამ სკოლამ წარმოშვა მთელი რიგი ინ-ტერპრეტაციის დიდად დაფასებული ავტორიტეტებისა. „თაბი‘უნის“ ეპოქის განმავლობაში ინტერპრეტაციის მე-თოდი და ხასიათი არ იყო განსხვავებული კომპანიონე-ბის მეთოდებისაგან. მოვინანებით თანამოაზრებისა და მემკვიდრეების „თაფსირი“ გახდა მწვავე დებატების სა-განი სწავლულთა შორის, რომლებიც კონცენტრირე-ბულნი იყვნენ იმაზე, იყო თუ არა მათი „თაფსირი“ სა-ვალდებულო მტკიცებულება (ჰუჯჯა ან ჰუჯჯიდა), სა-კითხი, რომელსაც მომავალში შარიათის დონეზე ექნე-ბოდა შედეგები. მათი არგუმენტები, ვისაც მიაჩნდა, რომ თანამოაზრების „თაფსირი“ იყო სავალდებულო

მტკიცებულება, უმეტესობა დაფუძნებული იყო კომპანიონების დამსახურებაზე, ვინაიდან მათი არგუმენტები, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა, ეფუძნებოდა ტექსტურ მტკიცებულებებსა და ინტელექტუალურ ანალიზს.

ისლამის პირველი საუკუნის განმავლობაში არ არ-სებობდა „თაფსირის“ ამომწურავად ყოვლისმომცეველი ნაშრომი, რომელიც შეეხებოდა ყურანის მთელ ტექსტს. ამ ტიპის ერთადერთი ცნობილი შემორჩენილი კომენტარი არის ატ-ტაბარის „ჯამი‘ა ალ-ბახნ ‘ან თა’კილ ალ-კურ’ბან“. ჰიჯრით მეოთხე საუკუნის შემდეგ, ყურანის ეგზეგეტიკის სფეროში სფეროში მოხდა სამი ძირითადი ცვლილება: გადაუმოწმებელი განცხადებების გამოყენება, სპეციალიზაციის ეპოქა და გასაკიცხი ინტერპრეტაცია ანუ „თაფსირ ალ-ბიდ‘ა“. ამ ცვლილებებმა შესაბამისად განაპირობა ყურანის ინტერპრეტაციის სფეროში შემდგომი ორი მნიშვნელოვანი ცვლილება: „ათ-თაფსირ ბი-ლ-მა’სურ“ და მისი ბუნებრივი მონინაალმდეგე „ათ-თაფსირ ბი ალ-რა’ء“, როგორც ორი განსხვავებული სფერო. სხვადასხვა სწავლულებმა შემდგომ ეს უკანასკნელი ორ კატეგორიად დაყვეს: „ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ء ალ-მაჰმუდ“ და „ათ-თაფსირ ბი-ლ-რა’ء ალ-მაჰმუმ“.

სპეციალიზაციის ეპოქა ნიშანდებულია „თაფსირის“ გაფართოებით სპეციალობების მიხედვით, როგორიცაა იურიდიული, გრამატიკული, ინტელექტუალური და ასევე თაფსირის სხვა ფორმები. ეგზეგეტიკის ახალი ტენდენციების წარმოქმნა კვლავაც გრძელდებოდა, რაც ქმნიდა თაფსირში ახალი კატეგორიებს, როგორიცაა სამეცნიერო, ლიტერატურული, ბუნების ისტორია და ფილოლოგიური ინტერპრეტაცია. ყურანის ზუსტი

გააზრებისა და მისი აიების ჭეშმარიტი მნიშვნელობის გამომუშავება, ჩემი აზრით, ისლამური მეცნიერებების, ყურანის ეგზეგეტიკის ანუ „თაფსირის“ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი არსია. წარმატების მიღწევა ამქვენიურ და იმქვენიურ ცხოვრებაში, შეუძლებელია ალლაჰის ნების გარეშე და დამოკიდებულია ცხოვრების შედეგზე, რომელიც გავლილია კაცობრიობისთვის მისი გზავნილის — ყურანის შესაბამისად. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ტექსტზე მუშაობისას საჭიროა ცოდნა, ყურადღება, კონცენტრაცია, პრიორიტეტი და პატივისცემა, რომელსაც ის იმსახურებს.

ავტორი

დოქტორი ალი სულეიმან ალი არის დასავლეთის გარეუბნის მუსლიმთა თემის (MCWS) იმამი და მუსლიმური საოჯახო სერვისების დირექტორი (ICNARELIEF USA). დაიბადა განაში. მან 1979 წელს დაამთავრა მედინის ისლამური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი არაბულ და ისლამურ კვლევებში. შემდგომ სწავლა და კვლევები განაგრძო მიჩიგანის უნივერსიტეტში (ეს არბორი), სადაც ისლამურ კვლევებში მიენიჭა მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი. დოქტორ ალის დისერტაცია „თაფსირ ბი ალ-მა'სურის“ შესახებ, რომელიც ეხება ჰუჯჯას (სავალდებულო მტკიცებულება), წარმოადგენს ფუძემდებლურ გამოკვლევას ამ მნიშვნელოვან დარგში. მან ასწავლიდა და ასწავლის ისლამურ კვლევებს, მუსლიმური მსოფლიო კვლევებს, არაბულს და ყურანის მეცნიერებას დეტროიტ-მერსის უნივერსიტეტში, ოკლენდის უნივერსიტეტში, ობერნ ჰილზში (მიჩიგანი) და უეინის ოლქის თემში, მიჩიგანი, აშშ.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საავანეს ქ. №4, თე: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

**იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს
ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას,
რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა
მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა
შეუქმნას.**

ყურანის ზუსტი გაგება და ზოგიერთი აიას
მნიშვნელობის აღქმა ისლამის მეცნიერებებს შორის
მნიშვნელოვან მსჯელობის და საკამათო საკითხს წარმოად-
გენს. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ისლამის პევრმა
მეცნიერმა იმუშავა ყურანის სწორი მნიშვნელობით
განმარტებისთვის. მათი მიზანი იყო მსოფლიოს მასშტაბით
გაეფართოვებინათ ცოდნა ყურანში მოცემული მითითებებისა
და ცხოვრების პრინციპების თანახმად. შედეგად, საკითხთან
დაკავშირებით ჩამოყალიბდა ისლამური ლიტერატურა,
რომელიც ცნობილია როგორც „ულუშ ათ-თაფსირ“ (თაფსი-
რის მეცნიერებები), იგი ყურანის სისტემური განმარტებაა და
აქვთ რამდენიმე მეთოდოლოგია. ამ ნაშრომში მოცემულია
ყურანის განმარტებების განვითარების ეტაპები. იგი მოიცავს
შუამავლის სიცოცხლის, მისი „საპაპების“, ადრეულ
„მუფასსირუს“ (განმარტებლებს) „თაფსირის“ დამოუკიდე-
ბელი ნამუშევრების ეტაპებს და დღევანდელ პერიოდს.
ნაშრომში განხილულია თუ როგორი გავლენა იქონია „თაფსირ-
ზე“ თეოლოგიურმა ტრადიციებმა, (კლასიკური, მისტიური
სუფი და სპარსული) პოლიტიკურმა და სექტანტურმა
ინტერესებმა და ა.შ. ნაშრომში ასევე განხილულია თუ როგორ
განსხვავდება ინტერპრეტაციები კონკრეტულ სამართლებრივ,
თეოლოგიურ და ლინგვისტურ საკითხებთან დაკავშირებით.

კონკრეტული მეცნიერები და ყურანთან დაკავ-
შირებული კომენტარები დროსთან მიმართებით გარკვეული
გამოცდის წინაშე დგებან, რაც სხვებისთვის არსებითად
მნიშვნელოვანია. ეს შესაძლოა იყოს განსხვავებული
მეთოდოლოგიის შედარებები და კრიტიკა. რაც ჩვენ გაგვაჩნია
ეს არის საკითხის ფართო, თუმცა მნიშვნელოვანი მიმოხილვა.
იგი ჩვეულებრივი მკითხველისთვის გაგების თვალსაზრისით
შესაძლოა იყოს რთული, მაგრამ ყურანის არსის გაგებისა და
შესწავლისათვის მნიშვნელოვანი რესურსი.

